აწსუ რექტორის, გ. ღავთაძის ანგარიში 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო აკადემიური საბჭოს წევრებო,

მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტი, ჯერ კიდევ 2017 წლის დასაწყისიდან, იმყოფება ავტორიზაციისათვის მზადების რეჟიმში. მართალია, აღნიშნული პერმანენტული პროცესია, მაგრამ გამომდინარე იმ ცვლილებებიდან, რაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის სტანდარტებში შევიდა, ყველა უნივერსიტეტს ამისათვის განსაკუთრებული მზადება უწევს. პროცესი ალიან მრავალმხრივია და შესაბამისი ქმედებების გარკვეული ნაწილი აისახა აწსუ ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშში და, ასევე, წარმოჩნდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშში მიმდინარე ფინანსური წლის ბოლოს. შესაბამისად, ტრადიციულად, წარმოგიდგენთ მხოლოდ იმ ძირითად სიახლეებს, რომლებიც არ მოხვდა ზემოაღნიშნულ ანგარიშებში და ვთვლით, რომ განხილვის ღირსია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამასთან, ვეცადეთ ანგარიში საკმაოდ ინფორმაციატევადი ყოფილიყო, რის გამოც ის უფრო მოცულობითი გამოვიდა წინა წლების ანგარიშებთან შედარებით.

ამრიგად, 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ძირითად სიახლეებს:

1. **კვლავ მნიშვნელოვანი წინსვლაა აწსუ საგარეო (მ.შ. საერთაშორისო) ურთიერთობებში.**

ხელი მოეწერა არაერთ ხელშეკრულებას, მემორადუმს, ჩამოყალიბდა ახალი ურთიერთობები სამთავრობო სტრუქტურებთან, სხვადასხვა სასწავლო-სმეცნიერო ორგანიზაციებთან, კერძო კომპანიებთან და ა.შ.

1. მემორანდუმები და ხელშეკრულებები

- <u>ადგილობრივი მეორანდუმები:</u>
  - ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
  - ✓ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
  - ✓ პრაქტიკის ბაზები;
  - ✓ სპეციალური ხელშეკრულებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის თანამშრომლები დაიწყებენ პროფესიებზე ორიენტირებული საგნების დანერგვას სკოლის მოსწალეთათვის.
- <u>საერთაშორისო მემორანდუმები:</u> სულ 2017 წელს - 7, მათ შორის განახლდა 2 მემორანდუმი ვერსალის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი) და იენის უნივერსიტეტთან (გერმანია).
- <u>პრაქტიკის ბაზები:</u> სულ 70-მდე, მ.შ. მიმდინარე წელს გაფორმდა 34 ხელშეკრულება.
- <u>საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები:</u> მიმდინარე წელს გაფორმდა ორი მემორანდუმი:
  1) ააიპ ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან და
  2) ინფორმაციული განათლების საერთაშორისო ასოციაციასთან.

2. უცხოელი სტუდენტები

მხოლოდ მიმდინარე წელს, უნივერსიტეტმა მიიღო:

ა) ერაზმუსით 3 სტუდენტი შემდეგი ქვეყნებიდან: ლიტვა, პოლონეთი, გერმანია

ბ) მიმდინარე წელს უცხოენოვან პროგრამებზე მივიღეთ: 10 თურქეთის მოქალაქე ბაკალავრიატში, 7 - მაგისტარტურაში, 50-ზე მეტი მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე. მომდევნო სასწავლო წლისათვის ვაპირებთ უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში დამხმარე ორგანიზაციების დივერსიფიცირებას, რამაც შედეგად სტუდენტთა რიცხოვნობის მნიშვნელოვანი ზრდა უნდა მოგვცეს.

3. უცხოელი ლექტორები. ამჟამად გვყავს ახალი თურქი ლექტორი და DAAD-ის ახალი წარმომადგენელი.

2. კვლავ გაიზარდა უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო თუ ეროვნულ პროექტებში.

კვლავ კარგი ვითარებაა საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის კუთხით. კერძოდ:

<u>1. საერთაშორისო პროექტები</u>

1.1. ერაზმუს+ -ის პროექტები

მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი პროექტები:

1. უნივერსიტეტი მეორედ გახდა პროექტის აპლიკანტი და ხელმეორედ ჩააბარა პროექტი ,,უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაზე''. სულ საქართველოდან 4 განაცხადი გაკეთდა, ერთ-ერთის ავტორი ვართ ჩვენ;
2. უნივერსიტეტი წარმატებით უწევს კოორდინირებას Erazmus+ პროგრამის პროექტს „სტუდენტთა ომბუცმენი";
3. ე.წ. Credit mobility-ის პროექტების ფარგლებში, შემუშავებული იქნა 7 ახალი პროექტი მობილობასთან დაკაშირებით ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტში ამჟამად არსებულ პროექტებს კიდევ დაემატა ორი ახალი პროექტი: 1) დაკავშირებულია კრედიტების აღიარებასთან (აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ფარგლებში გაგვიჩნდა პარტნიორი ახალი ქვეყნიდან - მონღოლეთიდან) და 2) დაკავშრებულია პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლასთან. აწსუ საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახური კოორდინირებას უწევს ყველა პროექტს.

2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში, მიმდინარე პროექტების ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩართული იყო შემდეგი სახის აქტივობებში:

ა) მიმდინარე სასწავლო წელს ერასმუსის პროექტებში მონაწილეობას იღებდა 45 სტუდენტი, გაიგზავნა 25 სტუდენტი, 8 აკადემიური პერსონალი. სრულად მოხდა მათი მონაცემების გადამუშავება, განხორციელდა კონსულტაციები აპლიკაციების შევსებისას.

ბ) ჰოლანდიაში, გრონინგენის უნივერსიტეტში, ჩატარდა სააკორდინაციო შეხვერდა, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ჩვენი უნივერსიტეტის აქტივობაზე და მის როლზე ამ პროექტებში;

გ) საბერძნეთში თესალონიკის უნივერსიტეტში ჩატარდა ერასმუს+ პროექტის საკოორდინაციო შეხვერდა, თემა - სამედიცინო ერასმუსი.

1.2. უნივერსიტეტმა კვლავ მიიღო მონაწილეობა „ჰორიზონ 2020" პროექტში.

უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო 2 ახალ საპროექტო წინადადების შემუშავებაში. კონსორციუმში ქართული უმაღლესი სასაწავლელებიდან მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტია წარმოდგენილი.

1.3. აშშ სახელმწიფო დეპარატმენტისა და ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები

უნივერსიტეტი კვლავ მონაწილეობს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის" მიერ ორგანიზებულ კონკურსში - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის". ჩვენი განახლებული პროექტი, საერთო ღირებულებით დაახლოებით 500,0 ათ. აშშ დოლარი, განხილვის სტადიაშია.

1.4. ნორვეგიის მთავრობის გრანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, აწსუ წარმატებით თანამშრომლობს ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში, რომლის ფარგლებში ჩვენთან ხორციელდება ტურიზმის მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა და სტუდენტთა სტაჟირება, გადამზადება და ა.შ.

1.5. ჩეხეთის მთავრობის გრანტი

აღნიშნული პროექტი გძელდება, რომელშიც აგრარული ფაკულტეტი არის ჩართული.

1.6. ესტონეთის მთავრობის გრანტი

წარმატებით დასრულდა აწსუ-ს მიერ მოპოვებული ესტონეთის მთავრობის გრანტი - "Establishing Estonian-Georgian Entrepreneurship Center and Interdisciplinary Course in Innovation Management at Akaki Tsereteli State

University (ATSU)", რომლის შედეგად, კონკურსში გამარჯვებული გუნდი იმყოფებოდა ტალინში 5 დღიან სასწავლო ტურში. პროექტის შედეგად, დაფუძნდა ესტონურ-ქართული თანამშრომლობის ცენტრი და უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები აწსუ-ში ინოვაციურ მენეჯმენტში ინტერდისციპლინური კურსის შემუშავებასთან დაკავშირებით.

1.7. პროექტი - ევროკავშირი ახალგაზრდობისათვის.

ჩვენ ჩავერთეთ აღნიშნულ ახალ საპროექტო განაცხადში. სულ ვმონაწილეობთ 2 პროექტში, რომლის პასუხები ცნობილი იქნება ოქტომბერში.

სულ 2014-დან 2017 (შედეგი ჯერ ცნობილი არ არის) წლამდე წარდგენილი და გამარჯვებული პროექტების ოდენობები შემდეგია:



მნიშვნელოვანი ზრდაა **საერთაშორისო პროექტების მხრივ მოზიდული თანხების** კუთხით. კერძოდ:



2. ეროვნული პროექტები

2.1. 2.1. მოეწყო ზაფხულის სკოლა **ამერიკანისტიკაში**, რომლის პეოქტი წარადგინა სამსახურმა და გაუწია ორგანიზება. პროექტი დააფინანა უნივერსიტეტმა. აწსუ-ში ამერიკისმცოდნეობის საზაფხულო სკოლა უკვე 7 წელია ფუნქციონირებს და სტუდენტთა დიდ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს. სწავლება ინტერდისციპლინარულია და მიმდინარეობს ქართულ ენაზე. მიმდინარე წელსაც, ტრადიციულად, საზაფხულო სკოლის მონაწილეთა შერჩევა კონკურსის შედეგად განხორციელდა. 62 განაცხადიდან, მაღალი აკადემიური ქულების მქონე მრავალრიცხოვან მსურველთა ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით მიღებულ იქნა 40 სტუდენტი. მონაწილეები - ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, სხვადასხვა სპეციალობიდან: საჯარო მმართველობის, ევროპისმცოდნეობის, დაწყებითი განათლების, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ბიზნესის ადმინისტრირების, აგროტექნოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, ქართული ენა და ლიტერატურის, ქიმიის, ამერიკისმცოდნეობის, სასურსათო ტექნოლოგიის, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობების, საჯარო სამართლის, აგროინჟინერიის, ტურიზმის, ეკოლოგიის სტუდენტებია.

სტუდენტეი წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

2.2. „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა“ და „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განხორციელდა ორი პროექტი:

ა) **„სოციალური და კულტურული მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“,** რომლის ფარგლებში ჩატარდა არაერთი სხდომა უცხოელი პროფესორების მონაწილეობით და ჩვენი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობით. მომდევნო წლიდან გათვალისწინებული ჩვენი სტუდენტების წარმოჩენა, როგორც თანამომხსენებლების, მოდერატორების და ა.შ.

ბ) აწსუ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული **„სახელმწიფო მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმის“** პროექტში, რომელიც განხორციელდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა (GIPA) და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია უკვე მოგაწოდეთ შარშან, ანგარიშის წარდგენის დროს.

2.3. საქართველოს პრეზიდენტის ფონდმა დააფინანსა ერთი პროექტი **„კრიმინალისტიკის ლაბორატორია“**;

2.4. საერთაშორისო ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) დააფინანსა პროექტი **„მულტიმედიური ლაბორატორია“**;

2.5. აპრილის თვეში უნივერსიტეტს განახლდა ინგლისური ფირმის **„დელკამის”** ლიცენზია, საინჟინრო მიმართულებების სპეციალობების სტუდენტებისათვის. შეგახსენებთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი პირველია საქართველოში, რომელმაც მსგავსი ლიცენზია მიიღო.

3. კვლავ წარმატებით ფუნქციონირებს უცხოენოვანი პროგრამები და იზრდება მათი ოდენობა.

ამჟამად მოქმედი პროგრამებია:

1) ერთსაფეხურიანი პროგრამა მედიცინაში (ინგლისურენოვანი);
2) ტემპუსის პროექტის ფარგლებში შექმნილი სამაგისტრო პროგრამა: „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში„ (ინგლისურენოვანი);
3) ფარმაცია (ინგლისურენოვანი);
4) რუსულენოვანი სადოქტორო პროგრამა „ინჟინერიაში“

ამჟამად, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, გრძელდება მუშაობა სადოქტორო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“, რომლის მომზადებისათვის უნივერსიტეტი ეცდება რესთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის მოპოვებას. მოგეხსენებათ, რომ ამ პროექტში მხარდამჭერებად გვევლინებიან

მიდლსექსის, ბას-სპას, სამხრეთ უელსის (გაერთიანებული სამეფოები) და მასარიკის (ჩეხეთის რესპუბლიკა) უნივერსიტეტები.

უკვე გადაწყდა, რომ აშშ „ფულბრაიტის“ პროექტის ფარგლებში, ამ მიზნით, აღნიშნული პროგრამის გუნდს მომდევნო წლის თებერვლიდან შემოუერთდება ამერიკელი პროფესორი, ჩვენი პარტნიორი მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტში ამ მხრივ არსებული ვითარება საკმაოდ დამაიმედებელია მოსალოდნელი ავტორიზაციის წარმატებით გავლისათვის.

უცხოენოვანი პროგრამების წარმატებით ფუნქციონირება განაპირობებს უცხოელი სტუდენტების ოდენობის ზრდას უნივერსიტეტში, რამაც პერმანენტული ხასიათი მიიღო და სამომავლო პერსპექტივებიც დამაიმედებელი ჩანს. ამჟამად, უცხოელი სტუდენტების ოდენობები, უკანასკნელი წლების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



4. **უნივერსიტეტი კვლავ მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებას და სტუდენტების სწავლებას უცხოეთში და უცხოელების მოწვევას.**

ამასთან, ასეთი თანამშრომლების რიცხვი, დინამიურად იზრდება, უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოების პარალელურად. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ იზრდება არამარტო წამსვლელი, არამედ ჩამომსვლელი პროფესორების ოდენობა.



დაფინასების ძირითად წყაროებად კვლავ გვევლინება: Erasmus-ის პროექტი, Tempus-ის პროექტი, აშშ-ს საელჩო, თურქეთის საელჩო, ეგვიპტის საელჩო, რუსთაველის ფონდი, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტები (მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე) და სხვა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად გამოდის თანადამფინანსებლის როლში.

ამჟამად, უნივერსიტეტში მოწვეულია შემდეგი უცხოელი პროფესორები:

- **ბერთოლდ ლინდერი**, გერმანია (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მოწვევა განხორციელდა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ (DAAD), ლექტორის ანაზღაურებას და მისი აქ ყოფნის ხარჯებს იღებს გერმანული მხარე;
- **ორჰან ქოჯამანი**, თურქეთი, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მოწვევა განხორციელდა საქართველოში თურქეთის საელჩოსა და იუნუს ემრეს ინსტიტუტის მიერ, რომლებიც ახდენენ პიროვნებების შერჩევას და დაფინანსებას;

გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტში გასული წლის განმავლობაში ჩამოსული იყო 7 პროფესორი, მ.შ. 5 ჩეხეთიდან, 1 ესტონეთიდან, 1 გერმანიიდან.

ჩვენთან ჩამოსული იყო სამი სტუდენტი ლიტვიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან.

კვლავ კარგი მაჩვენებლები გვაქვს სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთაშორისო მივლინების კუთხითაც. გასულ სასწავლო წელს ერასმუსის პროექტებში მონაწილეობას იღებდა 45 სტუდენტი, გაიგზავნა 25 სტუდენტი, 8 აკადემიური პერსონალი. ამასთან, სრულად მოხდა მათი მონაცემების გადამუშავება, კონსულტაციების გაწევა აპლიკაციების შევსებისას და ა.შ.

დაფინანსება ძირითადად ხორციელდება დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების ხელშეწყობით.

5. საინტერსო სიახლეებია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში

<u>ა) განხორციელდა აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოდერნიზება.</u>

თანამედროვე საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა კვლევისა და სწავლების მაქსიმალური დაახლოება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხარისხის ამაღლება, კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება უპრიანია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის დონეზე.

ამ მიზნით, აწსუ სამეცნირო კვლევით ცენტრში არსებული კვლევითი მიმართლებების კურირება გადავიდა საფაკულტეტო ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის საბჭოების ხელში. ცნობილია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მოხდა საფაკულტეტო დაფინანსების არსებითი ზრდა (2015 წელს - 200,0 ათ. ლარი, 2016 წელს - 600,0 ათ. ლარი, 2017 წელს - 1,0 მლნ. ლარი). ამ თანხის ნაწილი, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება მოხმარდეს კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას, მიმდინარე საჭიროებებისა და ფაკულტეტების უპირატესობების გათვალისწინებით.

რეფორმის შედეგად, აწსუ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუნქცია შემოიფარგლა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი ქმედებების განხორციელებით უნივერსიტეტის მასშტაბით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა თუ საზოგადოებებთან ურთიერთობით, ინფორმაციათა ურთიერთგაცვლით, საპატენტო საქმიანობის ხელშეწყობით, აწსუ-ში განხორციელებული კვლევის შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

უკვე გვაქვს საინტერესო სიახლეები და ორ ფაკულტეტზე - ფუმანიტარულ მეცნიერებათა და აგრარულზე, შეიქმნა ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები. არის გარკვეული ინიციატივები სხვა ფაკულტეტებიდანაც, რომლებიც, ამჟამად, დამუშავების ეტაზეა. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ არის მცდელობა საფაკულტეტთაშორისო ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მომზადდა ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერ-კვლევითი ერთეულის საქმიანობის შეფასების წესის პროექტი, რომელიც დაგზავნილია უნივერსიტეტის ხუს-თან და ფაკულტეტების დეკანებთან და მათი მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, იგი განსახილველად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს.

<u>ბ) ფაკულტეტებზე კვლევითი აქტივობების აქცენტის გაკეთებამ კიდევ უფრო გააქტიურა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მიმდინარე პროცესები</u>

მაგალითად:

საინჟინრო ტექნიკურ ფაკულტეტზე

1. ოქტომბრის თვეში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ენერგეტიკის პრობლემებს.
2. ტრანსპორტის მიმართულებით მოპოვებული იქნა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი,რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 480000 ლარს. ენერგეტიკის მიმართულებით მოპოვებული იქნა გრანტი მზის ენერგიის გამოყენებას ახალი პროფესიული კადრები(პროექტის ღირებულება 50000 ლარი)გრანტის ფარგლებში შემენილი ალტერნატიული ენერგიის წყაროები დარჩა დეპარტამენტის საკუთრებაში.
3. მომზადდა და 2017 წლის 24-26 ოქტომბერს უნივერსიტეტში ჩატარდება ქართულ-პოლონური საერთაშორისო კონფერენცია ,,სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“;
4. ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს სამ საერთაშორისო კონფერენციაში (ბულგარეთი, პოლონეთი) რომელთა შორის ერთ-ერთის თანადაფინანსება მოხდა ფაკულტეტის ხარჯვითი ნაწილიდან;

5. საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის სამ დეპარტამენტში მომზადდა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსზე წარდგენილი არის 13 საგრანტო პროექტი მათ შორის ტრანსპორტის მიმართულებით - 7 ერთეული,ენერგეტიკის მიმართულებით -2 პროექტი, მექანიკა მანქანათმშენებლობის მიმართულებით 4 პროექტი
6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე 2016-2017 სასწ.წელს დაცული იქნა 8 დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,მათ შორის 3 უცხოენოვანი

საინჟინო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე:

1. 2016 წლის სექტემბერში ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით, სამი ღონისძიებით (დიეტური პროდუქტი (მანანა ქარჩავა), საჯარო ლექცია (ლელა კიკნაველიძე), ეროვნული სამოსის მოდელების ჩვენება („დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტი)) მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფესტივალში და და საერთო მოწონება დაიმსახურა;
2. ფაკულტეტზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს 2017 წლის სექტემბერში დაგეგმილ საქართველოს სამეცნიერო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად (თემა: ქართული ანბანის თემაზე შექმნილი სამოსის ჩვენება);
3. 2017 წლის გაზაფხულზე ფაკულტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის ეგიდით მოწყობილ სამეცნიერო პიკნიკსა და სახელოვნებო კვირეულში, მოეწყო სტუდენტთა და თანამშრომელთა მხატვრული და ხელნაკეთი ნამუშევრების როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო გამოფენა, რომელმაც რამოდენიმე უცხოურ დელეგაციას უმასპინძლა;
4. 2017 წლის ივნისში „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ახალგაზრდა დიზაინერთა საერთაშორისო კონკურსზე „პეჩორსკიე კაშტანი“, სადაც ორი ფინალური ნომინაციიდან ორივე პირველი ადგილი დაიმსახურეს;

აგრარულ ფაკულტეტზე:

1. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამი საგრანტო პროექტი (საერთაშორისო ორგანზაციები: USAID/REAP და „ადამიანი გაჭირვებაში“), ორი დასრულდა, მესამის განხორციელება მიმდინარეობს. ასევე გრძელდება ორი საგრანტო პროექტის განხორციელება, რომლებიც დაფინანსებული იყვნენ წინა წელს რუსთაველის ფონდის მიერ;
2. საანგარიშო პერიოდში სულ გამოქვეყნებულია 90-დე სამეცნიერო სტატია, რომლებშიც ასახულია ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევების შედეგები და გამოიცა 4 სახელმძღვანელო;
3. **ფაკულტეტზე 2016-2017 სასწ.წლის განმავლობაში 2-ჯერ გამოიცა** (იმერეთის აგროეოლოგიური ასოციაციის დაფინანსებით) დარგობრივი რეფერირებადი ჟურნალი „აგროNEWS“;

პედაგოგიურ ფაკულტეტზე:

1. 2017 წლის 10-11 ივნისს წარმატებით ჩატარდა ყოველწლიური საერთაშორისო-მეთოდური კონფერენცია თემაზე „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“.

<u>გ) უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფესტივალებში</u>

წელს, შარშანდელისგან განსხვავებით, ფესტივალი ჩატარდება რეგიონულ უნივერსიტეტებშიც. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება დაგეგმილია ქუთაისში, ჩვენი უნივერსიტეტის ორგანიზებით. სულ გამოყენებულ იქნება 31 კარავი და ღონიშძიებაში ჩართლი იქნება თბილისის და რეგიონული უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობას მიიღებს ქ. ბათუმსა და სენაკში ორგანიზებულ ღონისძიებებში.

დ) უნივერსიტეტში გამოიცა ახალი სამეცნიერო კრებული.

კრებულის სახელწოდებაა **„სახელმწიფო და რელიგია“** (ავტორები ბნ. მამუკა ბერიაშვილი და ბნ. არნდ პოლმანი), რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მასში წარმოდგენილია 15 სტატია ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ. მომავალში ავტორთა არეალი კიდევ უფრო გაფართოვდება. ამჟამად, უკვე მომზადებულია კრებულის მეორე ნომერი და დაწყებულია მუშაობა მე-3-ზე, რომელიც წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში გამოვა.

6. შემდგომი სრულყოფა განიცადა აწსუ ბიბლიოთეკამ და მის მიერ განხორციელებადმა სერვისებმა.

კერძოდ:

- ელექტრონული ბიბლიოთეკა (library.atsu.edu.ge), რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ელექტრონული წიგნებით შეივსო 382 ერთეულით.
- წიგნადი ფონდი პერმანენტულად ივსება სასწავლო-სამეცნიერო და მხატვრული წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით. 2017 წლის იანვრიდან დღემდე შეძენილია 178,500 ლარის ღირებულების საბიბლიოთეკო ერთეული;
- შეიქმნა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში წიგნის ელექტრონული შეკვეთა. სერვისი საშუალებას აძლევს მომხმარებელს სასურველი წიგნი შეუკვეთოს სასურველ სამკითხველო დარბაზში ბიბლიოთეკაში მიუსვლელად;
- 2017 წელს გაგრძელდა წიგნადი ფონდის რეკლასიფიკაცია, ახალი ჩანაწერების შექმნა და ძველი საკატალოგო ჩანაწერების ჩასწორება და მონიტორინგი ერთიან ელექტრონულ კატალოგში (OPAC). ამ მიმართულებით, დღეის მდგომარეობით, განისაზღვრა ან შესწორდა 6580 საინფორმაციო რესურსის კლასიფიკაცია და ჩანაწერი;
- 2017 წელს შეძენილი და საჩუქრად მიღებული იქნა შემდეგი ელექტრონული სამეცნიერო ბაზები:
  - EBSCOhost
  - Cambridge University Press – Journals
  - Oxford Journals Collection
  - The New England Journal of Medicine
  - BioOne
  - Duke University Press
  - Royal Society Publishing – Journals
  - IMF eLibrary
  - SAGE
  - ScienceDirect
  - Scopus
- ხელი მოეწერა შეთანხმება LLC „Clarivate”-ს და აწსუ შორის, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული ბაზების წვდომას ერთი წლით (1 ოქტომბერი, 2017 – 1 ოქტომბერი, 2018);
- სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან (უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები) ელექტრონულ ბაზების გამოყენების მიმართულებით ჩატარადა 5 ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ; ასევე, მონაწილეთათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების უნარების გამომუშავებას;
- ელექტრონული კატალოგის გამოყენების თვალსაზრისით უნივერსიტეტის პერსონალისათვის ჩატარდა 6 შეხვედრა, სადაც განხილული იქნა, თუ როგორ უნდა მოხდეს სასურველის საბიბლიოთეკო მასალი მოძიება.
- 2017 წელს ბიბლიოთეკამ შემოწირულობით მიიღო 14500 ლარის ღირებულების საბიბლიოთეკო მასალები.
- 2017 წელს უნივერსიტეტის მუზეუმს შეემატა მნიშვნელოვანი გამოჩენილი საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეების პირადი არქივები;

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდიდან 2017 წელს გაციფრულდა 30 რარიტეტული წიგნი. აღნიშნული პროცესი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი - წიგნების შერჩევა, მეორე - მათი კომპიუტერული დამუშავება და მესამე ციფრულ მატარებელზე გადატანას ითვალისწინებდა;
- საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოაწყო რარიტეტული წიგნების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო XVII-XIX საუკუნეების ძველნაბეჭდი წიგნები;
- მომზადდა ქართულენოვანი ძველნაბჭედი წიგნების კატალოგ-ალბომი;
- გამოსაცემად მომზადდა ქართული ფოლკლორის კატალოგ-საძიებელი;
- წიგნადი ფონდიდნა შეირჩა პერიოდული გამოცემები, რომლებსაც ჩაუტარდა გამაგრებითი სამმუშაოები, მოხდა მათი აკინძვა და ყდაში ჩასმა (30 კომპლექტი);
- 2017 წლის განმავლობაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკამ შეადარა საბიბლიოთეკო ფონდებს. ფაკულტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა დაამუშავეს: 115 სასწავლო კურსის 409 ჩანაწერი;
- 2017 წელს გაგრძელდა ჟურნალების უსასყიდლოდ გადმოცემის პროექტი (Journal Donation Project, The New School, New York). პროექტი ითვალისწინებს:
  - მაღალ აკადემიური, რეფერირებადი ჟურნალების საჩუქრად გადმოცემას
  - მაღალ აკადემიური, რეფერირებადი ჟურნალების ფასდაკლებით გამოწერას
- 2017 წელს ბიბლიოთეკამ მოლაპარაკება დაიწყო საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან . შეხვედრა გაიმართა ინსტიტუტის დირექტორთან ბ-ნ ჟან-ივ ლავუართან, სადაც განხილული იქნა უნივერსიტეტში ფრანგული მედიათეკის შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდა და უახლოეს პერიოდში ბიბლიოთეკის სივრცეში გაიხსნება ფრანგულენოვანი ბიბლიოთეკა;
- ახალი კორპუსში გადასასვლელად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები წიგნადი ფონდის გადასატანად. სამუშაოები ითვალისწინებს:
  - წიგნადი ფონდის გამოხშირვას (შინაარსობრივად მოძველებული, ხმარებიდან გაცვეთილი, ჭარბი რაოდენობა და ა.შ.)
  - კლასიფიკაციის მიხედვით დახარისხება და სპეციალური თოკით შეკვრას
- „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული პროგრამა წარმატებით ხორციელდება ბიბლიოთეკის ბაზაზე. სტუდენტები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებითა და საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობით (კულტურულ-საგანმანათლებლო მოდულის ფარგლებში მოაწყვეს იმიტირებული ღონისძიება, რომლის შედეგადა ორ სტუდენტსა და მასწავლებელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადასცა სამადლოებლი სერტიფიკატები; გაიმარჯვეს აწსუ პროექტში „მე უნივერსიტეტი“);

მოგეხსენებათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე უნივერსიტეტისა და მისი სამეცნირო ბიბლიოთეკის ცხოვრებაში არის ის, რომ აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კორპუსის მშენებლობა ძალიან ინტენსიურა მიმდინარეობს და იმედი გვაქვს, რომ იგი დასრულდება დათქმულ ვადებში, ანუ წლის ბოლოს.

7. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის კუთხით.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის აქტიური იყო, როგორც დებულებით გაწერილი ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაში, ისე სხვადასხვა ქმედებების განხორციელებაში. მათ შორის აღნიშვნის ღირსია:

1. სტუდენტთა მიღება:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხი აბიტურიენტების რეგისტრაცია და ჩარიცხვა
- საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხი მაგისტრანტობის კანდიდატების რეგისტრაცია და ჩარიცხვა;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირების რეგისტრაცია, ჩარიცხვა და ხელშეკრულებების გაფორმება.
- ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით უფლებამოპოვებული სტუდენტების (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი სამედიცინო, მაგისტრატურა) რეგისტრაცია (საბუთების მიღება, ხელშეკრულებების გაფორმება) და უნივერსიტეტში ჩარიცხვა.
- მობილობის შედეგად ჩარიცხული სტუდენტების ასახვა სტუდენტთა ერთიან რეესტრში. მობილობის პორტალზე სტუდენტთა ელექტრონული ჩარიცხვა-ამორიცხვა და შესაბამისი წერილების ცეტრისთვის მიწოდება.
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის განსაზღვრული ინფორმაციის შეტანა, მასში ცვლილებების განხორციელება.
- საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების რეგისტრაცია (online რეგისტრაცია, საბუფების მიღება, ხელშეკრულებების გაფორმება) და ჩარიცხვის ბრძანების ფორმირება.
- პროფესიულ პროგრამებზე ჩამოსარიცხი თანხების შედარება სტუდენტთა რაოდენობასთან და ჩამოსარიცხი თანხების დადასტურება და სხვ;

2. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობა და მონიტორინგი:
   - პროგრამული დაფინანსების მქონე სპეციალობების სტუდენტთა მონაცემების სისტემატიზაცია. იმ სტუდენტების სიების მიწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის რომლებიც ქვოტის ფარგლებში ემატება პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტთა სიებს.
   - საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის მსურველთა ბაზების ფორმირება და შესაბამისი დოკუმენტაციისა და მონაცემების მიწოდება საჯარო სამსახურის ბიუროსათვის.
   - სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების მონაცემების შეგროვება და შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდება.
   - საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სტატუსთან დაკავშირებულ მონაცემებში ცვლილებები
   - საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კურსდამთავრებულებზე დამთავრების დიპლომის სკანირებული ვერსიისა და დიპლომის დანართების სკანირებული ვერსიის ატვირთვა.
   - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე პროფესიული პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა
   - საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისათვის კოდების მინიჭება
   - სტუდენტთა და მაგისტრანტთა სასწავლო და სამაგისტრო გრანტების შედარება და ანალიზი რეესტრის სამმართველოს მონაცემებთან
   - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგების ასახვა. გაუმჯობესდა პროგრამული უზრუნველყოფა, რის შედეგად შედეგების ასახვა გამარტივდა.

განსაკუთრებული სიახლე სამსახურის საქმიანობაში იყო ის, რომ ხარისხის სამსახურთან ერთად, 2017 წლის აპრილიდან ივლისამდე, განხორციელდა ფაკულტეტების მართვის ეფექტიანობის შიგა მონიტორინგი.

8. კიდევ უფრო გაფართოვდა აწსუ უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობა.

2012-2017 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი ტრენინგ-მოდულები:

სასწავლო წელი	#	ტრენინგ-მოდული	მსმენელთა რაოდენობა
2012 წლის ივნისიდან 2104 წლის დეკემბრის ჩათვლით	1	თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში	795
	2	მოსწავლეთა და სტუდენტთა საზაფხულო სკოლა	32
	3	ჯანდაცვის მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები	18
	4	"სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები	40
	5	ბუღალტრული აღრიცხვა და ORIS ბუღალტერია	30
	6	პრეზენტაციის ჩატარების უნარ-ჩვევები	31
	7	პროფესიული პროგრამები (განხორციელებულია 7 პროგრამა)	46
	8	ზოგადი უნარ-ჩვევები	12
	9	სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურების აგროტექნოლგია	2
	10	„წიგნიერების" I და II ტური	37
	11	„წიგნიერების" III ტური	10
	12	წარმატებული კარიერის შექმნა	98
	13	ძვირფასი ლითონების ექსპერტიზა	41
	14	ინგლისური ენის მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა	7
	15	სწავლების ინტერაქტიური მეთოდები	61
	16	ლექსიკაზე მუშაობა/მენტალური ლექსიკონი	9
	17	მღებავი	4
	18	ნაღდ ფულთან მუშაობის სპეციფიკა	1
	19	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტესტირება იცხოენაში	129
	20	პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის შემსწავლელი კურსები	50
	21	ინკლუზიური განათლება,რთული ქცევის მართვა.	168
	22	ესეს სტრუქტურული და შინაარსობრივი მოდელირება.	40
	23	ელექტრიკოსი.	3
	24	შემდუღებელი.	115
	25	გაყიდვების მენაჯმენტი.	27
	26	სასწავო სააღმზრდელო პროგრამები ბაგა-ბაღებისთვის.	84
	27	ენათა ცენტრი	21
სულ:			1911
2015-2016	1	ინკლუზიური განათლება,რთული ქცევის მართვა	189
	2	სასწავო სააღმზრდელო პროგრამები ბაგა-ბაღებისთვის.	107
	3	ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის საფუძვლები.	142
	4	ლექსიკაზე მუშაობა/მენტალური ლექსიკონი	55
	5	წარმატებული კარიერის შექმნა	17
	6	ფოტოხელოვნება	16
	7	პრეზენტაციის ჩატარების უნარ-ჩვევები	18
	8	პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის შემსწავლელი კურსები	23
	9	გაყიდვების მენაჯმენტი.	47
	10	ბუღალტრული აღრიცხვა და ORIS ბუღალტერია	8
	11	ძვირფასი ლითონების ექსპერტიზა	2

	12	თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში	28
	13	სასწავლო რესურსების შემუშავბა	39
	14	ხუთი გასაღების პრინციოები უვნებელი სურსათისთვის	9
	15	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	17
	16	ეფექტური კომუნიკაცია	42
	17	სწავლების ინტერაქტიური მეთოდები	5
	18	მაღლივი სამშენებლო სამუშაოების წარმოება და უსაფრთხოება	38
	19	პრეზენტაციის მომზადება	7
	20	რეპროდუქციული სერვისების ხარისხისშეფასება	15
	21	ენათა ცენტრი	14
სულ:			838
2016-2017 დღემდე	1	ინკლუზიური განათლება	134
	2	თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში	4
	3	პერსონალური კომპიუტერის კურსი	9
	4	მაღლივი საამშენებლო სამუშაოების წარმოებადა უსაფრთხოება	40
	5	რეპროდუქციული სერვისების ხარისხის შეფასება	15
	6	სასწავლო რესურსების შემუშავება	9
	7	ბუღალტრული აღრიცხვა	4
	8	პრეზენტაციის მომზადება	7
	9	სწავლების ინტერაქტიური მეთოდები	5
	10	სასკოლო მზაობა	54
	11	წარმატებული კარიერის შექმნა	40
	12	პერსონალური კომპიუტერის კურსი	1
	13	მეჯამბარე	150
	14	ეფექტური კომუნიკაცია	25
	15	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	25
	16	გაყიდვების მენეჯმენტი	25
	17	ენათა ცენტრი	48
	18	პრაქტიკული/სამოქმედო კვლევა მასწავლებლებისავის	24
სულ:			594
სულ:			**3343**

ზემოაღნიშნული კურსების განხორციელბის შედეგად მობილიზებული თანხის მოცულობამ მთალინობაში შეადგინა 250,0 ათ. ლარი, საიდანაც დაახლოებით 150,0 ათ. ლარი ხელფასების სახით გაიცა.

ბ) ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა კონფერენციების ორგანიზებასა და მონაწილეობაში. იგი წარმოდგენილი იყო აწსუ-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკზეც.

9. მნიშვნელოვანი წინსვლაა მარკეტინგული საქმიანობის, პროექტებისა ღონისძიებების მართვის კუთხით

დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებიდან გამომდინარე, საანგარიშო წლის განმავლობაში, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური იყო მრავალი ღონისძიებისა და პროექტის, როგორც ორგანიზატორი, ასევე მხარდამჭერი და ფასილიტატორი.

სამსახურის მიერ საანგარიშო წელს მომზადდა და სტამბური წესით გამოიცა უნივერსიტეტის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბროშურა.

2016 წლის 18 სექტემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის კოორდინირებით, პირველად, მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის საზეიმო გახსნის ღონისძიებაში, სადაც წარმოდგენილი იყო 8 ღონისძიებით. ინოვაციების პავილონში წარმოდგენილი იყო აწსუ-ში შექმნილი 3 პროექტი. საბავშვო მეცნიერების პავილიონში აწსუ ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია FAB LAB-მა წარმატებით წარმოაჩინა მის მიერ შექმნილი პროექტები. გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ავთანდილ ნიკოლეიშვილის საჯარო ლექცია და წიგნის პრეზენტაცია. მოხდა აწსუ სტუდენტთა და თანამშრომელთა დიზაინით შექმნილი სამოსის პრეზენტაცია.

სამსახურის ორგანიზებით:

- 3 დეკემბერს, შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აწსუ ადმინისტრაციამ მოინახულა ქუთაისის უსინათლოთა კავშირი და ბენეფიციარებს საჩუქრად აუდიო-წიგნები გადასცა.
- 2017 წლის 21 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი სამეცნიერო პიკნიკი დასავლეთ საქართველოში, სახელწოდებით „მეცნიერება სახალისოა“, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, დასავლეთ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები დაესწრნენ.
- შემუშავდა და დამზადდა ახალი სტუდბილეთების დიზაინი, რომელიც 2016-2017 სასწავლო წელს გადაეცა ყველა პირველკურსელს.
- დაიწყო და წარმატებით დასრულდა აწსუ-სა და ესტონეთის ბიზნეს სკოლის ერთობლივი პროექტი;
- ჩატარდა შემდეგი კვლევები:
  1. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გენდერული და ასაკობრივი განაწილება;
  2. აბიტურიენტთა გამოკითხვა სწავლის გაგრძელებისა და არჩევანის გაკეთების შესახებ.
  3. სტუდენტთა გამოკითხვა მათი სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის შესახებ.

2016-2017 წელს, სამსახურის კოორდინირებით მომზადდა და წარდგენილ იქნა 2 საგრანტო საპროექტო განაცხადი, რომლებმაც მოიპივენ დაფინანსება:

1. აწსუ ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე საკონფერენციო დარბაზის აღჭურვით - პროექტის სრული ღირებულება: 74300 ლარი. მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსება: 34750 ლარი;
2. ბრენდირებული Youtube არხი პროფესიული პროგრამების ვიდეო-გაკვეთილებისა და პრომორგოლებისათვის - პროექტის სრული ღირებულება: 9900 ლარი. დონორი: საერთაშორისო ორგანიზაცია PIN. შეიქმნა ახალი მულტიმედიური ლაბორატორია, რომლის ფარგლებში გაკეთდა ახალი YouTube არხი, დამზადდა ვიდეო-რგოლები და აუდიო-ტიხრები.

შეიქმნა ახალი ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც რეგისტრაციიდან ყოველდღიურად უნიკალური მომხმარებელბის ჯამური რაოდენობაა: 643 527. უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა ვებ გვერდის განახლების შემდეგ: 57 543. ერთ თვეში უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა: 7 635.

სამსახური ადმინისტრირებას უწევს უნივერსიტეტის Facebook -გვერდს, რომლის გამომწერების საერთო რაოდენობა მოცემული მომენტისათვის შეადგენს 15 427 მომხმარებელს. საგულისხმოა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში, გამომწერთა რიცხვი გაიზარდა 50%-მდე.

შემუშავდა და დამზადდა ახალი ბრენდირებული პროდუქციის დიზაინი.

სასწავლო წლის განმავლობაში, ჩატარდა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა აბიტურიენტებთან. აწსუ-ს პერიოდულად სტუმრობდნენ ქუთაისის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, სამტრედიის, აბაშის, ხარაგაულის, მარტვილის, ცაგერისა და ხონის საჯარო სკოლების 9 და 11 კლასის მოსწავლეები. (საერთო ჯამში 500-ზე მეტი ვიზიტორი).

სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 3 დეკემბერი - შშმ პირთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 28.12.2016 - ადმინისტრაციის შეხვედრა ღვაწლმოსილ თანამშრომლებთან და ახალი წლის მილოცვა
- საახალწლო კორპორაციული საღამო 15.01.2017
- 2 მარტს სამსახურის ინიციატივითა და აწსუ ადმინისტრაციის მხარდაჭერით, უნივერსიტეტის თანამშრომელი ქალბატონებისათვის, ჩატარდა ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მიუზიკლის „პიგმალიონი“ ჩვენება.

საანგარიშო წელს, უნიევრსიტეტში გაიმართა ფრანკოფონიისა და გოეთეს დღეები, სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, სახელოვნებო კვირეული, რომელთა საინფორმაციო მხარდაჭერასაც ახორციელებდა სამსახური.

სამსახურმა წლის განმავლობაში საინფორმაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერა გაუწია 200-ზე მეტ ღონისძიებას, მათ შორის: 20-მდე სამეცნიერო კონფერენციას, 30-მდე ტრენინგ-სემინარსა და ვორქშოფს, 40-ზე მეტ საჯარო ლექციასა და შეხვედრას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის შეხვედრა და საჯარო ლექცია
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სააგენტოსთან მემორანდუმის გაფორმება
- „გოეთეს დღეები“
- ილიაუნის „პოეზიის აფთიაქის“ კონკურსის - „პოეზიის ა(მ)ბების“ პრეზენტაცია აწსუ-ში
- ამერიკის დღეები 2017
- შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მან-სან-კანში;
- სასკოლო ჰაკათონი JUNIOR ATSUHACK.
- საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული
- წიგნის „დასავლეთ საქართველო XIX – XX საუკუნეებში“ განხილვა

- საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სეხვედრა აწსუ სტუდენტებთან კამპანიის „კონსტიტუცია ყველასია“ ფარგლებში
- საქართველო-ევროკავშირის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა.
- 2017 წლის 15 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის, გივი ჭიჭინაძის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აწსუ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ.
- პროკურატურის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან
- გუგა კოტეტიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „სივრცე, დიზაინი, განწყობა“
- იან თოლის საჯარო ლექცია
- National Geographic-ის ფოტოგრაფის, ვიქტორ ლიაგუშკინის საჯარო ლექცია „შეიცანი სამყარო National Geographic-თან ერთად“
- უმაღლესი სკოლის პედაგოგთა ევროპული გაერთიანების თანათავმჯდომარის - იური კიკოვის საჯარო ლექცია
- საჯარო ლექცია თემაზე: „ინოვაციები და ტექნოლოგიები საქართველოში“.
- ამერიკელი პოეტის, პროზაიკოსისა და მთარგმნელის, წლევანდელი ლიტერატურული პრემიის "საბა" გამარჯვებული ნომინაციაში "თანამედროვე თარგმანი" - ლინ კოფინის შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან
- გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია თემაზე „ლიტერატურა და ანიმაცია“
- ცნობილი ქართველი ბლოგერის გურამ შეროზიას საჯარო ლექცია
- ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორის მარკ კანშუკოვის საჯარო ლექცია თემაზე: „მოგების გადასახადის განაწილების სისტემის მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური შედეგები ესტონეთის მაგალითზე“.
- ლექცია-მასტერკლასი თემაზე - კბილების ესთეტიური რესტავრაცია.
- დოქტორ კაუპო კანდის საჯარო ლექცია
- ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან.
- ავსტრიის პირველი ელჩის არად ბენკოს სტუმრობა
- ბრიტანეთის ონლაინ ბიზნეს სკოლის ხელმძღვანელის ჯონ ჰოლდენის სტუმრობა უნივერსიტეტში
- ირანის თავრიზის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი
- ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტვური ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის ვიდას კავალიაუსკასის სტუმრობა პოლონეთის ქალაქ პოზნანის მერიის წარმომადგენელი მიხაილ კაცემარეკი და პოზნანის უნივერსიტეტის წარმომადგენლების სტუმრობა
- საფრანგეთის ელჩის პასკალ მუნიესის ვიზიტი
- ფრანკოფონიის კვირეული
- აწსუ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: საქართველოს ეროვნულ ბანკთან; დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან; ქუთაისის მეცხრე საჯარო სკოლასთან; სსიპ საქართველოს შსს

აკადემიასთან; სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან; ფრიბურგის უნივერსიტეტთან.

10. უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება სასწავლო და კვლევით პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების შემდგომი გაღრმავება.

ამ მხრივ, აწსუ ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელბეული იქნა შემდეგი ქმედებები:

1. გაახლდა დაცვის მექანიზმი ელექტრონული სწავლების პორტალზე (ერთი მომხმარებელი – ერთი სესია, რაც მნიშვნელოვანია საგამოცდო პროცესის დროს და თავიდან აგვაცილებს ანგარიშზე მიწვდომის პოლიტიკის დარღვევას). პორტალზე დარეგისტრირებული ელექტრონული კურსების რაოდენობა გაიზარდა 100-მდე (პრობლემა დარჩა იგივე - კურსების 80%-ზე მეტი მოიცავს მხოლოდ ტესტებს, სასწავლო მასალის გარეშე).
2. 9-დან 6 ფაკულტეტისათვის (ჰუმანიტარული; ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებათა; პედაგოგიური; საინჟინრო ტექნიკური და საინჟინრო ტექნოლოგიური) სრულად მოწესრიგდა აკადემიური მოსწრების აღმრიცხველი ელექტრონული ჟურნალები (აქტიურად იყენებენ ფაკულტეტების სამდივნოები), კორპორაციულ ფოსტებზე აკადემიური შედეგების ინდივიდუალურად გადაგზავნის შესაძლებლობით (ამის გამო საგამოცდო პერიოდში მატულობს კორპორაციული ფოსტების გამოყენების ინტენსივობაც). აგრარული ფაკულტეტზე ასევე მოწესრიგდა ელექტრონული ჟურნალები სექტემბრის ბოლომდე დარეგულირდება აკადემიური შედეგების გადაგზავნის შესაძლებლობა. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტისათვის შესაბამისი ელექტრონული ჟურნალები ჯერ არ არსებობს. ზუსტ და საბუნებესმეტყველო ფაკულტეტი იყენებს ცალკე ვებგვერდს.
3. შეიქმნა და შესაბამის ქვედომენებზე განთავსდა საკონფერენციო ვებ-გვერდები, დამუშავდა საკონფერენციო მასალები, შეიქმნა ელექტრონული დისკები და ჟურნალები (ქართულ და ინგლისურ ენებზე):
   - ხარისხის მართვის სამსახური – „უმაღლესი განათლება – ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები“, HENTI – 2017 (1-2.05.2017);
   - ბიზნესისა, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2017“ (29-30.09.2017) დამუშავებულია 95%-ით.
   - მზადების პროცესშია დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის „ქართველური მემკვიდრეობა“ (ISSN 1512-09-53) I-XX ტომის ელექტრონული ასლი და ჟურნალის ვებ-გვერდი და მართვის პანელი (რომელიც განთავსდება მისამართზე: http://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology). ინსტიტუტის ხელმძღვანელთან ერთად შესრულებულია სამუშაოს 90%.
4. მოდიფიცირებული იქნა სტუდენტთა სარეგისტრაციო პროგრამა და მონაცემთა ბაზა – სტუდენტე-ბისათვის ხელშეკრულების ფორმასთან ერთად ავტომატურად იბეჭდება კორპორაციული ფოსტის მისამართი და მისი გამოყენების წესები. ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისთანავე ხორციელდება ბაზაში შესაბამის ცვლილებების ასახვა და ფოსტების ფორმირება;
5. შეიცვალა დაშიფვრა/გაშიფვრის სისტემა საგამოცდო ცენტრში (დაიხვეწა დაშიფვრის ალგორითმი, დაჩქარდა გაშიფვრის პროცესი);
6. გაეწყო და მოხმარებაში გადაეცა 76-ერთეული ახალი კომპიუტერი. მათ შორის ახალი კომპიუტერული ლაბორატორიები (ახალგაზრდობის გამზირზე არსებულ მე-11 კორპუსში, ბიზნესის,

სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის ჭავჭავაძის პროსპექტზე არსებულ კორპუსში).

7. შესრულდა უნივერსიტეტის საერთო წვდომის რესურსის (საერთო საქაღალდე) მოდიფიცირება.

გარდა ამისა, სამსახურის მიერ ხორციელდება შემდეგი სახის პერმანენტული სამუშაოები:

1. სატენდერო მასალების მომზადება კომპიუტერული ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესყიდვების სამსახურისათვის;
2. თანამშრომელთათვის კონსულტაციების გაწევა სხვადასხვა სამომხმარებლო პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (საოფისე პროგრამები: Word, Excel, PowerPoint; .pdf, საგამომცემლო და გრაფიკული ფაილების რედაქტირება). კომპიუტერული ვირუსებისაგან ან მათი ზემოქმედებისაგან დაზიანებული ფაილებისა და დისკების შემოწმება/აღდგენა; თანამშრომელთა მოთხოვნის შესაბამისად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოძიება / დანერგვა/გამოყენება.
3. უნივერსიტეტის კომპიუტერული პარკის ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა;
4. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ტექნიკური დახმარების გაწევა;
5. კომპიუტერული სერვერების მუშაობის მონიტორინგი და საჭირო კორექტივების შეტანა კონფიგურაციაში.
6. კორპორაციული ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირება და მისი სრული შესაძლებლობების (Office 365, OneDrive, Forms და სხვა) შესახებ კონსულტაცია.

სამსახურის უახლოესი მომავლის პრიორიტეტებია:

1. საუნივერსიტეტო სერვერების გაუმჯობესება;
2. საუნივერსიტეტო ქსელის ოპტიმიზაცია;
3. WiFi, თავისუფალი წვდომის ქსელის გაფართოება.

11. გრძელდება პროექტ „ელექტრონული დეკანატის“ დანერგვა.

პროექტის რამდენჯერმე პრეზენტაციისა და განხილვის შემდეგ, მოხდა მისი დანერგვა. ამჟამად, მასში სრულად არის ჩართული 1-ლი და მე-2 კურსი. პარალელურად, მოხდება სისტემის შესაძლებლობების ინტეგრირება უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარებაშიც (ძირითადად სასწავლო პროცესთან და სტუდენტთა კონტინგენტთან დაკავშირებით).

12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ იქნა არაერთი საინტერესო ღონისძიება.

2016-2017 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ჩატარდა 12 სპორტული ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 1000 -ზე მეტმა სტუდენტმა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ შემდეგ სახეობებში: მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ღონისძიებები ჩატარდა ორ ეტაპად: შემოდგომაზე (ნოემბერი-დეკემბერი) და გაზაფხულზე (აპრილი-მაისი-ივნისი). შეჯიბრებები ჩატარდა უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე.

მიმდინე სასწავლო წელს შეიქმნა აწსუ სტუდენტთა კალათბურთის გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სტუდენტთა ჩემპიონატში, სადაც ასპარეზობდა 20 უმაღლესი სასწავლებლის ნაკრები გუნდი. უნივერსიტეტის გუნდმა წარმატებით განვლო ჩემპიონატი, დაიკავა მე-6 ადგილი და მომდევნო წელს 10 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის გუნდთან ერთად იასპარეზებს უმაღლეს ლიგაში.

2012 წლიდან უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს ასევე უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდი; მიმდინარე წელს მოხდა გუნდის სრული გადახალისება.

გასულ სასწავლო წელს გვქონდა გარკვეული წარმატებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში:

1. 2016 წლის 11-13 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი შოტოკან-კარატე-დოში 18-დან 34 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის. აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ეკონომიკის სპეციალობის I კურსის სტუდენტმა თამაზ გოჩელაშვილმა (75 კგ. წონით კატეგორიაში), რომელიც ფინალში შეხვდა ისრაელის მრავალგზის ჩემპიონს, დაამარცხა ანგარიშით 3:2 და მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული;
2. 2016 წლის 9-11 დეკემბერს კვიპროსში ქ. ნიქოზიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი სტუდენტთა შორის ჭიდაობა-სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა (რომელსაც 1 წლის მანძილზე უფლება ქონდა უნივერსიტეტის სახელით ასპარეზობისა) გენადი ჩირგაძემ, 62 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი.
3. 2017 წლის 29 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭიდაობა-სამბოში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოიპოვეს **3 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი.** შესაბამისად, მოპოვებული მედლების რაოდენობით დაიკავეს გუნდური **პირველი** ადგილი. ოქროს მედლების მფლობელები ვარლამ შალიკაშვილი (62 კგ. წონითი კატეგორია), საბა ნემსიწვერიძე (68 კგ. წონითი კატეგორია) და ონისე ხურციძე (82 კგ. წონითი კატეგორია), გახდნენ საქართველოს ნაკრების წევრები და მონაწილეობას მიიღებენ მიმდინარე წლის 14-21 ოქტომბერს ქალაქ სოჭში დაგეგმილ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე.
4. 27 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის 4 მოთამაშე მიწვევით იმყოფებოდა თურქეთში, ქ. რიზეში საერთაშორისო ტურნირზე სტრიტბოლში.

2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულ კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ სახელოვნებო მიმართულების სხვადასხვა სექციები: ქართული ხალხური სიმღერის, ქართული ხალხური ცეკვის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, სტუდენტთა თეატრალური დასის, საესტრადო მიმართულების ცალკეული ინდივიდების, თვითნასწავლი მხატვრების, ხელთნაკეთი ნივთების ავტორების მონაწილეობით.

2017 წლის 5 ივნისს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრში სტარტი აიღო რიგით მე-6 ,,აწსუ სახელოვნებო კვირეულმა“. კვირეული გაიხსნა გალა-კონცერტით, სადაც მონაწილეობდნენ: ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი ,,ადილა“, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი ,,კოლხა“, სამეჯლისო ცეკვების სტუდენტთა ჯგუფი, საესტრადო სიმღერების შემსრულებლები ნ. ბირკაია, ა. რაზმაზე, პრეციოუს ჩუკვუ, დინ დენის უჩეჩუკვუ. აქვე მოეწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფის ლიტერატურულ-თეატრალიზებული წარმოდგენის - ,,ქართული ენა“ ჩვენება.

2017 წლის 6 ივნისს მოეწყო ლიტერატურული საღამო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ ნ. თედორშვილის წიგნის პრეზენტაცია. (წიგნი დაიბეჭდა ცენტრის შუამდგომლობით აწსუ სტამბაში) 2017 წლის 6 ივნისს აწსუ სააქტო დარბაზში ნაჩვენები იქნა სტუდენტური თვითმმართველობის თეატრალური დასის სპექტაკლი ,,ბოდიში, რომ ცოცხალი ვარ“. (პიესის ავტორი და დამდგელი რეჟისორი თ. საღინაძე)

2017 წლის 7 ივნისს აწსუ სააქტო დარბაზში ჩატარდა თ. კობახიძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით საპორტეპიანო კონცერტი. კონცერტის სოლისტები: აწსუ პროფესორი მ. თხილავა და საერთშსორისო ფესტივალის ლაურიატები - შ ცინცაბაძე, ს. შუბითიძე.

2017 წლის 8 ივნისს აწსუ მწვანე დარბაზში მოეწყო ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის საჯარო ლექცია თემაზე ,, ქუთაისი საქართველოს უძველესი ქალაქი“ და ამავე დასახელების წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ასევე ცენტრის შუამდგომლობით დაიბეჭდა (ავტ: სულხან კუპრაშვილი, გოდერძი ვაჭრიძე, მერაბ ჭუმბურიძე).

2017 წლის 8 ივნისს მოეწყო აწსუ დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა და პედაგოგთა მოდელების ჩვენება.

2017 წლის 9 ივნისს მოეწყო აწსუ სტუდენტებისა და თანამშრომლების ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. ავტორები: ასწუ დოქტორანტი ფ. ჭაბუკიანი, სტუდენტები - ლ. ბარბაქაძე, , ქ. ხურცია, თ. კვალისავა, თ. პერანიზე. ასევე საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა,, ხელმძღვანელები; ნ. ფაილოძე, რ. ბოჭორიშვილი.

2017 წლის 10 ივნისს აწსუ ღია სივრცეში მოეწყო ფაკულტეტების მიერ დასავლეთ საქართველოს ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხეების გამოფენა სახელწოდებით ,,ეთნოგრაფიული პარკი" და სახელოვნებო კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება.

2017 წლის 9 აგვისტოდან 27 აგვისტომდე, იტალიაში ჩატარდა მსოფლიო საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო აწსუ ქართული ხალხური ცეკვის ანსაბლმა ,,კოლხა"-მ (ხელმძვანელი ე. მურხცალაძე). კონცერტები ჩატარდა იტალიის ქალაქებში ალაკრი, კასტროლილარი, პროპეა და ოსტუმი. ანსამბლი დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზებით.

2017 წლის 16 მაისიდან 28 მაისის, პოლონეთში (სოპოტი), საგუნდო მუსიკისა და ფოლკლორის ფესტივალზე სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო აწსუ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლმა ,,ადილა"-მ (ხელმძვანელი მ. გაზდელიანი) სადაც დაჯილდოვდნენ ფესტივალის მთავარი პრიზებით.

13. წარმატებით იმუშავა აწსუ გამომცემლობამ

აწსუ გამომცემლობა 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებას საკმაოდ მომზადებული შეხვდა. განახლებული და აღგენილი იქნა საგამომცემლო და ტექნიკურ სექტორში არსებული კოპიუტერული და ძირითადი ტექნიკური საშუალებები. დამატებით ტექნიკურ სექტორში შეძენილი იქნა ბეჭდვის თანამედროვე პრიციპით აღჭურვილი საბეჭდი მანქანა, რომელმაც ხარისხი და რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. საგამომცემლო სექტორი განახლადა სამი ახალი თანამედროვე ფერადი ბეჭდვის პრინტერით, რომელმაც საშუალება მოგვცა მიგვეღწია ფერადი ბეჭდვის მაღალი ხარისხისათვის.

შეძენილი იქნა ბეჭდვისა და გამოცემისათვის საჭირო ყველანაირი მასალა და სახარჯი საშუალებები. ამასთან, თითოეულ თანამშრომელს მკაფიოდ განესაზღვრა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები და მათი პროფესიონალიზმიდან და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად შესამჩნევი წარმატებები იქნა მიღწეული.

აწსუ გამომცემლობამ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით საგამომცემლო სექტორში მოამზადა და ტექნიკურ სექტორში დაიბეჭდა ყველა სახის რეკვიზიტი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში: სხვადასხვა ფორმა, ბლანკი, უწყისი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ჯგუფის ჟურნალები, სადისპეჩერო და სასწავლო ცხრილები, სტუდენტთა პირადი საქმეების საქაღალდეები.

გამოცდების ორგანიზებისა და ტექნიკური სექტორისათვის მოამზადა სტუდენტთა სამახსოვრო და საგამოცდო ბილეთის სამუშაო გვერდები. ამ უკანასკნელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად აწვდიდა რეიტინგების და ფინალური გამოცდების მიხედვით.

მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურთან ერთად მომზადდა და დაიბეჭდა უნივერსიტეტის და ცალკეული ფაკულტეტების სარეკლამო ბროშურები, ფლაერები, პლაკატები, აფიშები, ფოტო სურათები, სტუდენტის გზამკვლევები, სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებისათვის საჭირო მრავალფეროვანი ბეჭდური მასალა.

საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურისათვის დამზადდა ფერადი სარეკლამო და

საიფორმაციო ხასიათის სხვადასხვა ბეჭდური პროდუქცია.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა ღონისძიებებისათვის საჭირო მასალა და მათ მიერ შერჩეული, საუკეთესო ნიჭით დაჯილდოებული, სტუდენტების ლექსებისა და ნოველების კრებულები.

აწსუ ენათა ცენტრისათვის რეიტინგების და ფინალური გამოცდების მიხედვით სისტემატიურად იბეჭდება საგამოცდო ტესტები, კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი და დანართი ქულების ასახვით.

აქტიურად ვთანამშრომლობთ **უწყვეტი განათლების ცენტრთან.** იბეჭდება მათი სარეკლამო ბროშურა და ფლაერი, ასევე ბენეფიციარებისათვის გადასაცემი სერტიფიკატები(დაასხლოებით 3000 ცალი).

ვეხმარებით **ინოვაციების ლაბორატორიას** მათი რეკლამირების საქმეში.

სტუდენტურ თვითმართველობასთან ყოველდღიური ურთიერთობიდან გამომდინარე მზადდება და იბეჭდება მათ მიერ ორგანიზებული საუნივერსიტეტო და საქალაქო სხვადასხვა პროექტებისათვის საჭირო სარეკლამო მასალა, საინფორმაციო ბუკლეტები, ფლაერები, ფოტოები, ბილეთები და აფიშები. მათ მიერ შერჩეული წარმატებული სტუდენტების პროზაული ნაწარმოებები და სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომები.

ამერიკის შემსწავლელი ცენტრის საზაფხულო სკოლის მსმენელებისათვის დაიბეჭდა სწავლების პროცესისათვის საჭირო მასალები და კურსის დამთავრების დამადასტურებელი სერთიფიკატები.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაუმზადდა მათი საქმიანობისათვის საჭირო რეკვიზიტები: ფორმულარები, აღრიცხვის ბარათები, საკატალოგო ბარათები, ჯიბაკები და სხვა.

აწსუ კანცელარიას, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და ბუღალტერიას დაუმზადდა სხვადასხვა სახის ჟურნალები. წიგნებად აიკინძა საბუთები.

უნივერსიტეტის გამომცემლობამ მონაწილეობა მიიღო ვეხისტყაოსნის იუბილეს აღნიშვნაში. მომზადდა ხელნაწერი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შიქმნა თვითმმართველი **ქალაქ ქუთაისის მერიის ინიციატივით.** წიგნის გარეკანი და ორნამეტული ჩასადები კოლოფი მოამზადა ინოვაციების ლაბორატორიამ.

გამომცემლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობს **აწსუ ფაკულტეტებთან**. დაიბეჭდა როგორც მათი სარეკლამო მასალები ასევე მათ მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებების და კონფერენციების პროგრამები, აფიშები, ფოტოები, მოხსენებათა კრებულები, მონაწილეთა ბეიჯები, გზამკვლევები, სერთიფიკატები, მადლობის სიგელები და სხვა. ფაკულტეტების ხარჯვითი ნაწილიდან გამოიცა პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები.

ამ სასწავლო წლის მანძილზე აწსუ გამომცემლობამ განახორციელა რამდენიმე **კომერციული პროექტიც,** რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტისათვის მიღებული იქნა გარკვეული ფინნსური სარგებელი.

14. ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის როლი

სამსახურმა მითითებულ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

1. სამსახური ემზადება ავტორიზაციის ახალი სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნებისთვის, რაც გულისხმობს უახლოეს მომავალში მის სტრუქტურულ და შინაარსობრივ რეორგანიზაციას;
2. სამსახურმა განაახლა პერსონალის ერთიანი ელექტრონული ბაზა, შესაბამისი მონაცემებით, რაც წარმატებით განხორციელდა და ნაყოფიერად მუშაობს ამჟამადაც;
2. სამსახურმა სრულყო პერსონალის პირადი საქმეების, ნამსახურობის ნუსხებისა და შრომის წიგნაკების სიტემატიზება (პროკურატურიდან დაბრუნებული 624 პირადი საქმის წესრიგში მოყვანა და მათი სრულყოფა);

3. წარმატებით ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად პროცედურების (თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, შრომითი ხელშეკრულებების, შვებულებების, დისციპლინური პასუხისმგებლობის (ლექცია-პრაქტიკუმების არასაპატიო მიზეზით გაცდენა) შესახებ და სხვა დოკუმენტების მომზადება და გაფორმება) შესრულება;

15. კვლავ გამოცხადდა რექტორის კონკურსი სტუდენტებისათვის „მე - უნივერსიტეტი“

მოგეხსენებათ, რომ პროექტის ფარგლებში უკვე რამდენიმე ძალიან საინტერესო პროექტი დაფინანსდა. რამდენიმე მათგანი განხორციელდა და დამთავრდა. განვლილი პერიოდის განმავლობაში, დამატებით შემოვიდა 1 საპროექტო განაცხადი, რომელიც უნივერსიტეტში ბიზნეს-პროექტებისა და ე.წ. „სტარტაპ“-ების საკონსულტაციო დახმარების ორგანიზებას ითვალისწინებს. პროექტის წარმდგენები არიან ესტონეთის ბიზნეს-სკოლასთან ერთად განხორციელებული კონკურსის მონაწილე სტუდენტები.

სამომავლო პერსპექტივები

- **სტრატეგიული მნიშვნელობის ქმედებები:** უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის ფორმირების დასრულება. უკვე ჩატარდა ფაკულტეტების კვლევითი პროფილების პრეზენტაცია და მათ საფუძველზე, ევროპელი ექსპერტების ჩართულობისთ, შემუშავდება უნივერსიტეტის კვლევითი პროფილი; უნივერსიტეტში პროფესიული განათლების განვითარების დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი; უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციის შემუშავება (აღნიშნული უკვე დაწყებული უნდა იყოს, მაგრამ ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში, მისი დასრულება რამდენიმე თვით გადაიდო; ფაკულტეტების მიერ განვითარების სტრატეგიული მონახაზის და საგანმანათლებლო პროფილების ფორმირების დასრულება; დაფინანსების არსებული მოდელის შეცვლის შემთხვევაში მოსალოდნელი რისკების მონიტორინგი და პრევენციული ქმედებების განხორციელება.
- **ხარისხის განვითარება და მართვა:** ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადების დასკვნითი სტადიის ორგანიზებულად გავლა, ავტორიზაციის განაცხადის მომზადება სათანადო დონეზე და წარდგენა; აწსუ ზოგიერთი პროგრამისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებისათვის გადადგმული ნაბიჯებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგი; ზრუნვის გაგრძელება უნივერსიტეტის რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამისათვის საერთაშორისო აკრედიტაციაზე წარდგენისათვის, მოპოვებული განმავითარებელი შეფასებების შედეგების გათვალისწინებით;
- **საერთაშორისო ურთიერთობები:** ამ მიმართულებით პრიორიტეტების შენარჩუნება მოხდება, გამომდინარე გასული პერიოდის დადებითი გამოცდილებისა. კერძოდ: საერთაშორისო კავშირების შემდგომ გაღრმავებაზე ზრუნვის გაგრძელება; საერთაშორისო თუ ეროვნულ საგრანტო პროექტებზე მუშაობის გაძლიერება; სამხრეთ მეზობელ ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ა.შ.; უნივერსიტეტის, როგორც ევროპული და აზიური უნივერსიტეტების დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის შემდგომი გააქტიურება;
- **განათლების ექსპორტი:** უცხოელი სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობების დივერსიფიკაცია; უცხოენოვანი საგანამანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის გაძლიერება; ახალი უცხოენოვანი სასწავლო კურსების მომზადება; აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლება; უცხოელი პროფესორების მოზიდვა და ჩართვა აკადემიურ პროგრამებში, საზაფხულო სკოლებში და ა.შ.; მარკეტინგული საქმიანობის გაძლიერება, საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა, უნივერსიტეტის პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;

- **სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო სივრცე:** სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების გაფართოება სტუდენტთა კარიერის განვითარების, კურსდამთავრებულებთან კავშირების გაღრმავების, სტუდენტთა ომბუცმენისა და ფსიქოლოგის სერვისების შეთავაზებით; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ყოველწლიური ანალიზის კეთების გაგრძელება და მიღებულ შედეგებზე სწავლებისა და შეფასების ხარისხის მართვის პოლიტიკის ორიენტირება; სტუდენტური ცხოვრების შემდგომი გამრავალფეროვნება და კომფორტის ამაღლება; სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის მრავალფუნქციური ბარათების დამზადება და მათი გამოყენებისათვის პირობების შექმნა უნივერსიტეტში (პირველადი მოლაპარაკებები უკვე წარმოებულია და პირველად ეს სისტემები დაინერგება ახლ საბიბლიოთეკო კორპუსში); „ელექტრონული დეკანატის“ პროექტის სრულფასოვანი ამოქმედების შემდგომი მხარდაჭერა; სტუდენტებისათვის კორპორაციულ ფოსტებზე აკადემიური შედეგების ინდივიდუალურად გადაგზავნის შესაძლებლობის შემდგომი განვითარება ყველა ფაკულტეტზე; უნივერსიტეტში WiFi თავისუფალი წვდომის ქსელის გაზრდა;
- **უნივერსიტეტი ყველასათვის:** უნივერსიტეტში განსაკუთრებული საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების სრული ინკლუზიის ხელშეწყობა, მათზე ორიენტირებული სივრცის კიდევ უფო გაფართოება (გასული წლის ანგარიშში დაფიქსირებული პრიორიტეტის შესაბამისად, უკვე მონტაჟდება 2 ლიფტი, მოეწყო პანდუსები და სველი წერტილები);
- **თანამშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება:** თანამშრომლებისათვის კველიფიკაციის ამაღლებაზე, გადამზადებაზე და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა; საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აწსუ აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის შემდგომი გაძლიერება; ტრენინგები ორგანიზება უნივერსიტეტში, ქართველი თუ უცხოელი პროფესიონალების მონაწილეობით;
- **ცვლადებად გარემო პირობებზე ორიენტირებული მართვა:** უნივერსიტეტის სტრუქტურის განხორციელებული ოპტიმიზაციის შესაბამისად, გარემოზე ადაპტირების პროცესის შემდგომი გაგრძელება; სასწავლო და კვლევით პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების შემდგომი გაუმჯობესება; სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; ქ. ქუთაისის ადმინისტრაციასთან ურთიეთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით; ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავება საგრანტო თუ საპროექტო დაფინანსების შემდგომი გაზრდის მიზნით.